საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

კონკურსის

„ახალი ქართული წიგნი“ – მწერლების ხელშეწყობა“

საკონკურსო დებულება

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

კონკურსის „ახალი ქართული წიგნი“ – მწერლების ხელშეწყობა “ (შემდგომში – კონკურსი) მიზანია: ქვეყანაში ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურის ახალი გამოცემების ხელშეწყობის გზით.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1.კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს – ქართველ ავტორებს, გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს (შემდგომში – კონკურსანტი).

2. აღნიშნულ სფეროში იურიდიულ პირებს უნდა ჰქონდეთ მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება.
3. ცალკეულ კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის (შემდგომში – პროექტი) წარმოდგენა.
4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ქართულენოვანი თარგმანი. ქართულ ენაზე თარგმნილი დოკუმენტები სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული (გარდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენებიდან თარგმანისა).
5.კონკურსში წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს 2022 წლის 1 ივნისისა , ხოლო დასრულების თარიღი განისაზღვრება არაუგვიანეს 2022 წლის 1 ნოემბრისა.
6. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში–სამინისტრო) მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ლარს.
7.კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტით მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს და უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ ბეჭდვის ხარჯების დაფარვას.
8. კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი მხატვრული ლიტერატურა ჟანრობრივად არ არის შეზღუდული.
9.კონკურსი არ ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის გამოცემების ხელშეწყობას.
10.კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსანტმა პროექტი უნდა წარმოადგინოს მხოლოდ წიგნად გამოუცემელი ნაწარმოების/ნაწარმოებების შესახებ, ხოლო პოეტური კრებულის გამოცემის თანადაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, დასაშვებია ტექსტის ერთი მესამედი გამოქვეყნებული იყოს წინა გამოცემებში.
11. უპირატესობა შესაძლოა მიენიჭოს იმ პროექტს/ებს, რომლებიც ითვალისწინებენ სალიტერატურო სფეროში მოღვაწე ავტორთა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით წიგნის გამოცემას, მათი შემოქმედების წარმოჩენა–პოპულარიზაციის მიზნით.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის სახელზე (შემდგომში – მინისტრი), მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის (დანართი N1) შესაბამისად;

ბ) ინფორმაცია პროექტის შესახებ – მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის (დანართი N2) შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ბ.ა) გამოსაცემად მომზადებული წიგნის ავტორის ან/და საავტორო და მომიჯნავე უფლებების მქონე პირის/პირების წერილობითი თანხმობა/ნებართვა წიგნის გამოცემაზე;

ბ.ბ) წიგნის ბეჭდვის ნაწილში, პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.გ) იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ, ხოლო ფიზიკური პირის/ების შემთხვევაში – პირადობის მოწმობის ასლი და ბანკიდან წარმოდგენილი საბანკო რეკვიზიტები;

ბ.დ) გამოცემის სრული ტექნიკური პარამეტრები;

ბ.ე) გამოცემის მოკლე აღწერა (PDF დოკუმენტი);

ბ.ვ) ნაწარმოების/ნაწარმოებების, ან/და ლექსების კრებულის დასაწყისი: 15-20 გვერდი, Word დოკუმენტი, შრიფტი – Sylfaen, ზომა – 11, ხაზებს შორის დაშორება – სტანდარტული (Multiple);

ბ.ზ) ინფორმაცია საგამომცემლო ჯგუფის შესახებ CV-ის სახით.

2. კონკურსანტი უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია მხოლოდ კონკურსის ფარგლებში საპროექტო/საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენისას, ხარვეზის აღმოსაფხვრელად, კონკურსანტს განესაზღვრება 2 სამუშაო დღე, რომლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია რჩება განუხილველი.

4. კონკურსის ფარგლებში გამოცემული ბეჭდური პროდუქციის 50 ეგზემპლარი გადმოეცემა სამინისტროს.

მუხლი 5. შერჩევის კრიტერიუმები

1. კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებულ ინფორმაციას პროექტის შესახებ განიხილავს და შეაფასებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

2. კონკურსის ფარგლებში მოწონებული პროექტების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, 30 ქულის ფარგლებში.

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან	0-10
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა)	0-5
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში	0-5
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება	0-5
5	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის რეალურობა	0-5
სულ		**30**

3. პროექტების შეფასების შედეგად, საკონკურსო კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;
ბ) პროექტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხით ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;
გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) პროექტის კორექტირების შესახებ.
4. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს იმ პროექტის დაფინანსების შესახებ, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც პირველი და მე-2 კრიტერიუმების შეფასებით დააგროვებს ქულათა უფრო მაღალ ჯამს.
5. პროექტის ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კონკურსანტს მოსთხოვოს პროექტის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, რაც კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. ამ ვადის დაუცველობის, ან ამ ვადაში დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტი კონკურსიდან მოხსნილად ითვლება. მოცემული მიზეზით კონკურსიდან მოხსნის შესახებ ინფორმაცია კონკურსანტს ეგზავნება საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ.
6. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან, დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.
7. კონკურსში გამარჯვებული პროექტის განმახორციელებელ პირთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.
8. დაფინანსებული პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით, წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნით შემდეგი პირობებით:
ა) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 25% -ის ოდენობით;
ბ) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90%-ის ოდენობით.
9. სამინისტროს/სამინისტროს მმართველობის ფარგლებში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს, ნებისმიერი სახის აქტივობასა და ნებისმიერ სივრცეში, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან/და ნაბეჭდი ასლი, მათ შორის, მისი რეალიზაციის გზით.

მუხლი 6. კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება **2022 წლის 27 აპრილიდან 2022 წლის 6 მაისის 12:00 საათამდე** სამინისტროში, მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4 მატერიალური სახით ან სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@culture.gov.ge ელექტრონული დოკუმენტის სახით. კონსულტაციები შესაძლებელია სამინისტროს ცხელი ხაზის საშუალებით ტელ N: 032 2 022229 ან ტელეფონზე: 599 877 816 სამუშაო საათების განმავლობაში;
2. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტის შესახებ გასაჯაროვდება სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე **არაუგვიანეს 2022 წლის 20 მაისისა;**

3. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაუბრუნდება.

„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობების და დაფინანსების წესის შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 3 ივნისის N7864 ბრძანება და ფორმულარები იხილეთ შემდეგ ბმულებზე:

დაფინანსების წესი: https://cutt.ly/7PGB6Oh

ფორმულარები: https://cutt.ly/ePGNsau